პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! ხუთშაბათი, 12 თებერვალი 1925 წ. წელიწადი მეხუთე ფასი 3 კაპ.

# წითელი მეომარი

№ 33 (721) 1 და 2 ქ. მ. დ. პოლიტ-განების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ევანგულოვის ქუჩა ტელ. 2—24
განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც. ნომპარელის სტრიქონ სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

## ბჭოთა არჩევნები ჩვენს წითელ ჯარში.

ბჭოთა არჩევნები ჩვენს ნაებში უკვე დაიწყო.

ღევანდელი არჩევნების დიმნიშვნელობის შესახებ ჩვენ გვქონდა ზოგადათ ლაპადა აღვნიშნეთ, რომ სათა არჩევნები უნდა ჩატან რაც შეიძლება მასების აქტიური მონაწილეობით ი.

ბჭოებში უნდა ჩაირჩეულ ას რაც შეიძლება უპარტი მეტი რიცხვი. საბჭოები ა გამოცოცხლდენ და გახმშრომელთა ინტერესების ცველი და მათი სულისკვების გამომხატველი ორგანოაი მთავარი ამოცანები, მელიც დღეს უნდა გადაჭ. საბჭოთა არჩევნებმა ე. ი. ნაყოფიერ ჩატარებისაგან მოკიდებულია ყველა იმ ამცანების განხორციელება სოად, რომელიც მიმართულია უკანასკნელის პოლიტიკურლტურულ და ეკონომიურ ორძინებისაკენ. როდესაც იწბა არჩევნები ნაწილებში არც უნდა დავივიწყოთ ამ ამონების შესახებ.

საჭიროა აქაც არჩეული იქნ რაც შეიძლება წითელიელთა მეტი რიცხვი, რომ საშუალება მიეცეს უშუამუშაობისა ქალაქის საბში. ეს მეტის მეტად საჭია, ვინაიდან ჩვენი წითელმიელი—დეპუტატები ბევრს ოცდილებას შეიძენენ ქალასაბჭოში მუშაობის დროს, მელიც მათ დიდათ გამოადათ სოფელში დაბრუნები-

დინარე არჩევნებს საჭიროა ჩვა წითელ-არმიელებმაც დიდის ადლებით მოეპყრან და თავიწარმომადგენლათ გაგზავნონ ბჭოში ისეთები, რომლებიც ტკიცედ გაატარებენ საბჭოთა ხელისუფლების და მის ხელმძღვანელი კომუნისტური პარტიის ხაზს. უნდა გაიგზავნოს ისეთი დეპუტატები ქალაქის საბჭოში, რომლებიც ენერგიულად იზრუნებენ წითელ-არმიაზე და წითელ-არმიელთა ოჯახებზე. და არა თუ მარტო წითელ-არმიაზე ზრუნვა შეადგენს მათ მოვალეობას, წითელ-არმიის დეპუტატებმა ყოველმხრივ ხელი უნდა შეუწყონ საბჭოთა ხელისუფლებას თავისი აქტიური მუშაობით აღმშენებლობის ყოველ დარგში. წითელ-არმია არის მარტო საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალა, ის აგრეთვე აქტიური მონაწილეა მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს მშენებლობაში, შემოქმედებითი მუშაობაში, და ეს მონაწილეობა უმთავრესად გამოიხატება საბჭოების მუშაობის მონაწილეობით.

ამიტომაც დღევანდელ მომენტში, როდესაც ჩვენს წინაშე სდგას ვებერთელა ამოცანები საბჭოთა კავშირის მეურნეობის აღორძინების საქმეში, წითელი არმიაც, როგორც მუშების და გლეხების პირმშო შვილი თვით უნდა იღებდეს აქტიურ მონაწილეობას საერთო მუშაობაში. ცხადია ამავე დროს ის ფხიზლად უნდა იყოს საბჭოთა რესპუბლიკების ინტერესების დაცვის სადარაჯოზე.

და რამდენად აქტიურად ჩაებმებიან საბჭოთა არჩევნებში ჩვენი ჯარის ნაწილები, იმდენად ისინი ხელს შეუწყობენ მის ნაყოფიერად ჩატარებას. ამხ. წითელ-არმიელებო, მეთაურნო, პოლიტშემადგენლობავ, ყველამ მიიღეთ მონაწილეობა არჩევნებში!

გაიყვანეთ საბჭოში საბჭოთა ხელისუფლების და კომუნიზმის ერთგული და თავდადებული დამცველები.

## ოციალ-დემოკრატების საქმენი-საგმირონი.

ჩვენ კომუნისტები მუდამ ლაპარაკობდით, რომ მენშეები და მთელი მეორე ინტერნაციონალი მუშათა კლაგამყიდველებია და გამცეები, რომ მათ მოქმედებაში ვითარი სოციალისტური არის, რომ ისინი ბურჟუაზიის ერთგული დამცველები არიან სხვა. და რაც დღე მიდის უფრო და უფრო აშკავდება არა მარტო მათი პოლიტიკური გამცემლობა, არა ის ზნეობრივი გახრწნიბაც და გათახსირება რომშიდაც კისრამდე ჩაეფლა ეული ინტერნაციონალი და მისი მოწინავე რაზმი გერმანიის სოციალ დემოკრატია.

ამ ვაჟბატონების გამყიდველობას და მათი ლაქიობას ბურჟუაზიის წინაშე არ უჩანს საზღვარი. ამაზედ ლაპარაკობს ის აღმაშფოთებელი ცნობები, რომელიც გამოქვეყნდა ამ ბოლო ხანებში კომუნისტურ გაზეთებში ბარმატის საქმესთან დაკავშირებით. ვინ არის ბარმატი? მსხვილი სპეკულიანტი, რომელიც ქრთამს აძლევდა სოციალ-დემოკრატების ბელადებს თავის ჭერ ქვეშ ინახავდა მეორე ინტერნაციონალს. სამაგიეროთ გერმანიის მენშევიკები მას დიდ პატივს სცემდენ ყოველგვარ საქმეში ხელს უწყობდენ.

ამაზედ მეტი გახრწნა და გათახსირება წარმოუდგენელია. ის ხალხი, რომელიც მუშათა კლასს თავის ერთგულებას ეფიცება და რომელიც ამავე მუშათა კლასის სახელით ლაპარაკობს, სინამდვილეში იმყოფება მოსამსახურეთ და ლაქიათ სპეკულიანტ ბარმატთან. ველსი, ებერტი, შეიდემანი, ბაუერი, გუისმანსი—ეს მე-2 ინტერნაციონალის წარჩინებული პირები, რომლებიც დიდის რიხით ლაპარაკობენ სოციალიზმზე და მუშათა კლასის განთავისუფლების შესახებ, სინამდვილეში აღმოჩნდენ ბურჟუაზიის დაქირავებულ მონებათ, რომლებიც სხვა და სხვა აგარაკებზე გასეირნებისათვის ქრთამში ყიდდენ თავის სინდისს, პატიოსნებას და სპეკულიანტ ბარმატს ხელს უწყობდენ ბნელი საქმეების გაკეთებაში.

აი როგორ „აკეთებდენ“ ისინი მუშების საქმეს, აი როგორც „ემსახურებოდენ“ და „ემსახურებიან“ ისინი სოციალიზმის და პროლეტარიატის გამარჯვების საქმეს. ბევრი მათი შავი საქმეები გამომჟღავნდა და კიდევ გამოაშკარავდება.

ჩვენ ღრმად გვწამს, რომ გერმანიის და ევროპის პროლეტარიატი სათანადო შეფასებას გაუკეთებს ყვითელი ინტერნაციონალის ამ შავ საქმეებს. გერმანიის სოციალ-დემოკრატიის და საერთაშორისო მენშევიზმის გახრწნამ იმ წერტილამდე მიაღწია, რომ ის სწამლავს ჰაერს, ჩირქს სცხებს მუშათა მოძრაობას და ეღობება მას წინ. რაც ადრე გადაათრევენ პროლეტარულ რევოლიუციის ფართე გზიდან გერმანიის და ევროპის მუშები ამ გახრწნილ გვამს, მით უფრო დააჩქარებენ თავისი განთავისუფლების საათს კაპიტალის ბატონობისაგან.

—მ.

## ბარმატის საქმის გარშემო.

### მიულერი გაიქცა მხაკვრების პარტიიდან.

ყოფილი მინისტრის ამხანაგი სოციალ-დემოკრატი ავგუსტი მიულერი გამოვიდა პარტიიდან და გადავიდა დემოკრატებთან. ამის მიზეზად ის აცხადებს გამოჩენილი ბელადების გასვრას ბარმატის საქმეში.

## პრუსიის ლანდტაგის თავმჯდომარედ არჩეულია სოციალ-დემოკრატი ბარტესი.

პრუსიის ლანდტაგის თავმჯდომარედ არჩეულია სოციალ-დემოკრატი ბარტელსი, რომელმაც მიიღო 215 ხმა ნაციონალისტ კისზე მიცემულ 182 ხმის წინააღმდეგ.

## ბელგიის კომპარტიის პროგრამა.

ბელგიის კომუნისტურმა პარტიამ გამოიმუშავა მომავალ არჩევნებზე გამოსასვლელი პროგრამა.

პროგრამაში სხვათა შორის იქნება შემდეგი მოთხოვნილებანი: საბჭოთა კავშირის ცნობა იურიდიულად, სამხედრო ვალების გაბათილება, გერმანიის რაიონების განთავისუფლება, დოუესის გეგმის წინააღმდეგ ბრძოლა.

ამას გარდა არის კიდევ მოთხოვნილებები საშინაო პოლიტიკაშიაც.

კომპარტია აცხადებს, რომ ის გამოიყენებს საარჩევნო კამპანიას კომინტერნის სასარგებლო აგიტაციისათვის.

## საერთაშორისო პროფკავშირთა გაერთიანების შესახებ.

### ყოველგვარი დაბრკოლება გადალახულ იქნება.

პროფკავშირთა საერთაშორისო გაერთიანების შესახებ მშენებელ მუშათა კავშირის მდივანმა ხიჩსმა განაცხადა: „ამ საკითხის დიდი მნიშვნელობა და მისი საჩქაროდ მოგვარების საჭიროება გვიკარნახებს ვსძლიოთ ყოველგვარი დაბრკოლება“.

## ამხ. პოლიტი ამსტერდამის ინტერნაციონალის რეზოლიუციის შესახებ.

### ყვითელი ბელადები ხელს უშლიან პროფკავშირთა გაერთიანებას.

ამსტერდამის ბელადები მუხანათურ ხერხს მიმართავენ კომინტერნის წინააღმდეგ.

### საბჭოთა პროფკავშირები თავისას გაიტანენ.

პრესის წარმომადგენელთან საუბარში ინგლისის პროფკავშირთა მემარცხენე უმცირესობის მდივანმა გარრი პოლიტმა განაცხადა, რომ ამსტერდამის ინტერნაციონალის აღმასკომის მიერ მიღებული რეზოლიუცია ნიშნავს ბრიტანეთის პროფკავშირთა მოღვაწეების საბოლოო დამარცხებას. რეზოლიუცია ნათლად გვიჩვენებს, რომ ამსტერდამის სოციალ-დემოკრატები სცდილობენ ხელი შეუშალონ პროფმოძრაობის გაერთიანებას.

### ყვითლების ხრიკები.

რეზოლიუცია მუხანათური ცდაა ჩააყენოს საბჭოთა პროფკავშირები ისეთ მდგომარეობაში, რომ გამოიწვიოს კომინტერნის დანაწილება მათი წინადადების მიღებით. ხოლო კომინტერნის უარი მათ წინადადებაზე საშუალებას მისცემდა ამსტერდამის ინტერნაციონალის რეაქციონერებს ილაპარაკონ, რომ საბჭოთა პროფკავშირებმა არ მიიღეს მათი წინადადება გაერთიანების შესახებ.

**საბჭოთა პროფკავშირები თავისას გაიტანენ.**

„მიუხედავათ ამისა—განაცხადა პოლიტმა—ჩვენ გვრწამს, რომ საბჭოთა პროფკავშირები თავისას გაიტანენ. ჩვენის მხრივ ჩვენ მოვითხოვთ, რათა როგორც ბრიტანეთის, ისე საბჭოთა პროფკავშირებმა დაიწყონ მუშაობა ინგლის-რუსეთის მოქმედების კომიტეტში პროფმოძრაობის გაერთიანებისათვის ბრძოლაში. ეს კომიტეტი აწარმოებს ფართე კამპანიას და დაამარცხებს რეაქციონერების ტაქტიკას.“

## ჰამბურგის აჯანყების საქმე.

### „შემსუბუქებული“ სასჯელი.

ბერლინში ამ ჟამად ირჩევა ჰამბურგში მომხდარ აჯანყების საქმე. პროკურორმა სცნო ურბანსის სასჯელის შემამსუბუქებელი საბუთები და მოითხოვა მისთვის „სახელმწიფოს ღალატისთვის“ „შემსუბუქებული“ სასჯელი, სახელდობრ: 15 წლის ციხე. კენენისა და ლევისთვის 12 და რვა წლის ციხე, ფრიდისთვის—12 წელი, იენსენისთვის—6, ზაინენისა და რიულისთვის—5 და ესსერისათვის—3 წლის ციხე.

## ბურჟუაზიულ სიყალბეს არ აქვს საზღვარი.

### მაგრამ ისე ვერც ერთი სიყალბე ვერ ჩაიდინეს, რომ არ გამომჟღავნებოდათ.

საფრანგეთის ნაციონალისტების გაზეთში მოთავსებულია ცირკულიარი, რომელსაც ვითომც კომინტერნი სწერდეს სა-

საფრანგეთის კომპარტიის ლიდერს კაშენს კომუნისტების მუშაობის შესახებ კოლონიებში (ხალშენებში)

გაზეთი „იუმანიტე" ააშკარავებს ამ ცირკულიარის სიყალბეს და აღნიშნავს, რომ როგორც შინაარსით, ისე ფორმის მხრივ ის ეწინააღმდეგება კომინტერნის მუშაობის პრინციპებს.

## მათ აშინებს კომუნისტური მოძრაობის გაძლიერება.

## მალე წითელი დროშის დანახვით სულს განუტევებენ.

ჰოლანდიის ინდოეთის მთავრობას მეტად აწუხებს კომუნისტური მოძრაობის გაძლიერება ადგილობრივ მკვიდრთა შორის, განსაკუთრებით სკოლებში, რომლებიც იმყოფებიან ინდოელ მასწავლებლების ხელმძღვანელობის ქვეშ.

## პარიზის კომუნის დღე გამოცხადებულია რემედასის დღეთ.

პარიზის კომუნის წლის თავის დღე—18 მარტი გამოცხადებულია რემედასის საერთაშორისო დღესასწაულის დღეთ.

## ბულგარეთის გლეხთა კავშირის მარჯვენა ფრთა საბოლოოდ გამოეყო პარტიას.

ბულგარეთის გლეხთა კავშირის მარჯვენა ფრთა საბოლოოდ გამოეყო პარტიას, მარჯვენა ფრთის მეთაურები აუწყებენ პარტიის წევრებს, რომ მათ პარტიის მინდობილობით შეადგინეს ახალი პრეზიდიუმი და მოუწოდებენ არ სცნონ ეხლახან არჩეული პრეზიდიუმი.

## კონფლიქტი შოტლანდიის ქვანახშირის სამრეწველოებში.

შოტლანდიაში მაღაროს მუშებსა და მეპატრონეებს შორის გამწვავდა კონფლიქტი. მოსალოდნელია ამან ფართო ასიათი მიიღოს შოტლანდიის მთელ მაღაროებში.

მიზეზი შემდეგია: პროფკავშირმა დაადგინა შემოღებულ იქნას 5 დღიანი სამუშაო კვირა. დადგენილება აცნობეს მაღაროს პატრონებს, მაგრამ იმათ უარი განაცხადეს დადგენილების შესრულებაზე და პასუხად დაჰკეტეს რამოდენიმე მაღარო.

## გეფლე პატიებას მოითხოვს.

## მსუქანა ქურდობაზე დაიჭირეს და ხელი გამიშვით-ბეწვი გამიფუჭდებაო.

ყოფილი მინისტრი გეფლე, რომელსაც დაუმტკიცეს ფულის აღება ბარმატისაგან, ხელი აიღო რეიხსტაგის დეპუტატის უფლებებზე და განაცხადა, რომ აპირებს თავის თავს პროკურატურას, მაგრამ ითხოვს-არ დააპატიმრონ.

## უარყვეს გიჟი მოწმე.

გაზეთი „როტე ფანე"-ს აზრით ჰამბურგის პროცესზე ბრალმდებლებმა უარი განაცხადეს ფელიქს ნეიმანის დაკითხვაზე იმიტომ, რომ ნეიმანი სულით ავადმყოფია.

## საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების უჯრედები გერმანიაში.

გერმანიის მთელ რიგ ქალაქებში: ბერლინში, კენიგსბერგში, ლეიპციგში, ბრემენში და ჰამბურგში მოწყობილ იქნა საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების უჯრედები.

ამ უჯრედებს კავშირი უკავიათ საბჭოთა საჰაერო ფლოტის საზოგადოებასთან.

## ვაჭრობა სპარსეთის ტახტის გარშემო.

„ან მე, ან შახი."

საკითხი სპარსეთის მეფის გვარეულობის კვლავ წამოიჭრა დღის წესრიგში.

მინისტრ-პრეზიდენტმა რიზა-ხანმა მიმართა მეჯლისს ულტიმატუმით (მოთხოვნილებით)—„გააკეთონ არჩევანი შახსა და მის შორის".

## ჯალათების ესტონეთში.

## „ახრანკის" მხეცური მოქმედება.

რეველის „ახრანკის" განყოფილების მიერ დაკითხვის დროს, მესამე სართულის ფანჯრიდან გადმოვარდა თავის მოკვლის მიზნით ბორკილებ შეყრილი პოლიტიკური პატიმარი მაგრამ ის გაება ტელეფონის მავთულებში, საიდანაც ჩამოიყვანეს.

16 იანვარს იგივე განმეორდა, ეხლა კი „დაკითხვაზე" მიყვანილი 1-ლ დეკემბრის აჯანყების მონაწილე გადმოხტა იმავე ფანჯრიდან და დაეცა ქვაფენილზე. ის წაიყვანეს საავადმყოფოში, სადაც მალე გარდაიცვალა.

ქალაქში დადის ხმები, რომ დაკითხვაზე სასტიკად სცემენ პატიმრებს. ამასვე ამტკიცებს ზემო-მოყვანილი უბედური შემთხვევები.

## სამხედრო საქმე

## ესკადრონის ახალი ორგანიზაცია.

I

ტეხნიკის განვითარება, საომარი იარაღების გაუმჯობესება იწვევენ ყველა დარგის ჯარების ორგანიზაციის შეცვლას. 1924 წელში სამჯერ შეიცვალა ქვეითა ჯარის საომარი წესდება. სამხედრო მეცნიერება განუწყვეტლივ ირკვევს ახალ წესებს ბრძოლისას, რომ არ ჩამორჩეს ტეხნიკის გიგანტიურ წინსვლას.

1914 წელში საერთაშორისო ომის დასაწყისში არსებული საბრძოლო წესები დიდათ განსხვავდება 1918 წლისაგან, როცა სინამდვილემ დაანახა უვარგისობა არსებული ორგანიზაციისა. 1918 წელს დასავლეთის ფრონტზე პარიზიდან შეტევის დროს, გერმანელები უკვე სარგებლობდენ ჯგუფობრივი წესებით ქვეითა ჯარში. ჯგუფი შესდგებოდა 10-12 მეომრიდან, რომელიც შეიარაღებული იყო ავტომატით ან მსუბუქი ტყვიამფრქვევით. ჯგუფი გაშლილი იყვნენ როგორც კედარის მხრით, ისე სიღრმეშიც. ერთი სიტყვით ომის მსვლელობამ მიგვიყვანა ჯგუფობრივ წესებამდე. დღეს ეს უკვე დაკანონებულია და მის შესაფერ ორგანიზაციაც არის შემოღებული ქვეითა ჯარში.

ცხენოსანი ჯარი დიდ ხანს უცდიდა თავისი ორგანიზაციის და საბრძოლო წესების თანამედროვე პირობებთან შეფარდებით ჩამოყალიბებას.

1924 წელს გამოვიდა უკვე დროებითი საბრძოლო წესდება ცხენოსანი ჯარისა მე-II ნაწილი. წესდების თანახმად ესკადრონი ღებულობს ახალი ორგანიზაციას. გატარებულია მისი ცეცხლის გაძლიერების პრინციპი. ამისთვის ესკადრონს ეძლევა ოთხი მსუბუქი ტყვიამფრქვევი „ლიუსას" სისტემისა. ს ტყვიამფრქვევი ეძლევა მას, როგორც მისი მუდმივი კოლექტიური იარაღი, რომელიც შედის ესკადრონის შეიარაღებაში, როგორც თოფი, ხმალი, და სხვა. ოცეული დაყოფილია ორ ათეულათ, თითო ათეული ორი ან სამი ჯგუფეულისაგან შესდგება. პირველ-ათეულს ქვიან ხმლისა და მეორეს-ტყვიამფრქვევის. ამ ათეულში ერთი ჯგუფეული არის ტყვიამფრქვევის, რადგან მასში შედის ერთი ტყვიამფრქვევი. ამნაირათ ტყვიამფრქვევები დაყოფილია ოცეულებში, და არარის გამოყოფილი ცალკე ოცეულათ.

ყველა მხედარს ტყვიამფრქვევი ათეულისა უნდა ქონდეს შესწავლილი მისი მოხმარა, რომ შეამსოს დანაკლისი თავის ათეულში და არ შეჩერდეს ცეცხლი.

ცხენოსან ნაწილებში, ტყვიამფრქვევი მისდევს ოცეულს მეორე მწკრივის დასაპალნებული. მის გვერდით ვაზნების საპალნე. ჩამოქვეითებისას, ტყვიამფრქვევის ჯგუფეულ[ი] სწრაფად მივარდება საპალნეებს, ჩამოიღებენ ტყვიამფრქვევს და ვაზნებ-ს ჯამეს და გადი[ან] წყობილებაში. ოცეულში უკვ[ე] აღნიშნულია, თუ ვინ რა თანამ[ა]დებობას ასრულებს, ასე რომ ჩამოქვეითების დროს არევ-დარევას ადგილი არ ექნება.

ცხენოსან წყობილებათ ოცეულში არის მიღებული ახალ[ი] წესი—წყობილება ათეულებათ, ოცეული იშლება ათეულება[თ] 40—50 მეტრზედ ეს არის სა[ჭ]ირო ჯგუფობრივი მოქმედე[ბ]ისათვის.

აღსანიშნავია კიდევ რაზმეულების გამოჭიმვა ყოველთვის პირველ თარიღზე, მაგალითად ძველ წესდებით მარცხნიდან თითოობლივ ან ორათ, გამოდიოდა უკანასკნელი ჯგუფეულის მესამე თარიღები. ეხლა კი გამოდიან პირველი თარიღები იმავე ჯგუფეულისა. ეს საჭიროა მისთვის, რომ პირველი თარიღი პირველი მწკრივისა არის ჯგუფეულის მეთა[ვ]ური და მოწყობა რაზმეულ[ის] ხდება მასზედ.

შეცვლილია ოცეულის მ[ე]თაურის ადგილები რაზმეულებში. მარჯვნიდან გამოჭიმულ რაზმეულში, ოცეულის მეთა[ვ]ური მოდიოდა მარცხნით. ე[ხ]ლა კი, გარდა ექვსეულთა რა[ზ]მეულისა, მათი ადგილი არ[ის] ნაჩვენები მარჯვნით.

ოცეულებში გამოყოფილ[ი] ზურგის ჯგუფეულები—ოც[ეულის] თავის თანაშემწე და ორი ს[ა]პალნე-ტყვია მფრქვევისა და ვა[ზ]ნებისა. ეს ჯგუფეული ეკუ[თ]ვნის მეორე ათეულს.

მართველობის ჯგუფი ესკ[ა]დრონის უფროსთან სდგე[ბა] მექანიკურათ: თითო ოცეულ[ის]-ში ხმლის ათეულის მესამ[ე] ჯგუფეულში მესამე თარიღ[ები] ითვლება მოკავშირეებათ. ის[ი]ნი საჭიროების დროს გამო[დ]იან და შეადგენენ მართვე[ლ]ობის ჯგუფს. ცალკე მართ[ვ]ელობის ათეული არ არ[ის] შტატით დაწესებული. მხო[ლ]ოდ პროფესორი გატოვსკ[ი] შრომაში: „Эскадрон ново[й] организации", საჭიროთ ს[ც]ნობს იქნას შტატში შეტან[ი]ლი ზურგის ათეული, რომე[ლ]იც უნდა შესდგებოდეს საად[]მინისტრაციო-სამნეო და ს[ა]ბარგულეს წითელ-არმიელებ[ი]საგან.

ქვეითა წყობილება ისეთ[ი]ვეა, როგორც ცხენოსნურ[ი] საბრძოლო წესები ჩამოქვე[ი]თებული ესკადრონისა არა[ფ]რით არ განირჩევა ქვეითა ჯა[]რის წესებისაგან. მიღებულ[ი] ჯგუფის ძალათ-ერთი ათეულ[ი] 10-12 კაცი. ჩამოქვეითებული ე[ს]კადრონი თავისი ცეცხლის [ძ]ალით უდრის 1 ნახ. ოცეულ[ს] ქვეითა ჯარისას.

შემდეგ წერილში ჩვენ გ[ა]ვარჩევთ ესკადრონის ზემ[ო]მოყვანილ ახალ ორგანიზაცი[ას] და შევადარებთ მას სხვა ქვე[ყა]ნების ცხენოსანი ჯარის ორ[]განიზაციასთან.

ი. დოლიძე.

## ყველა წიგნისა და ბიბლიოთეკისაკენ.

ბიბლიოთეკა საკითხველი ერთ-ერთი და ამასთანავე ყველაზე უფრო მიზან შეწონილი საშუალება წიგნისა და ცოდნის მასაში გავრცელებისა.

ამ მხრივ ის წარმოადგენს კულტურულ - განმანათლებელ მუშაობის ერთ მთავარ დარგს.

შეიძლება ითქვას რომ სხვა დარგში, როგორიცაა სკოლა, კლუბი და სხვა, თავის მუშაობაში არსებითად დამოკიდებულნი არიან ბიბლიოთეკისაგან, რადგან, ცხადია, ყოველივე საფუძვლიანი ცოდნა დღეს წიგნისაგან შეიქნება.

მიუხედავათ წიგნის და ბიბლიოთეკის ასეთი დიდი როლისა, დღემდე უნდა ვაღიაროთ, ჩვენს ჯარში მას ყველაზე ნაკლები ყურადღება ექცეოდა.

ხშირი ყოფილა შემთხვევა, რომ მაგ. საბიბლიოთეკო სექციას მთელი თვეები მოუნდომებია კარგი ბიბლიოთეკარის მომზადებისათვის და შემდეგ როდესაც ის კარგი მომუშავე გამომდგარა კლუბში ან რომელიმე სხვა ნაწილში გადაუგზავნიათ.

ეს იმით აიხსნება, რომ არ იყო ნათელი წარმოდგენა საბიბლიოთეკო მუშაობაზე. ბევრი ფიქრობდა და სამწუხაროთ ეხლაც ფიქრობს რომ ბიბლიოთეკარის მოვალეობას შეადგენს მხოლოდ წიგნების და გაზეთების დალაგება, ნომრებისა და მიხედვით მათი გაცემა, მათი სიის შედგენა და სხვა ამგვარი უბრალო ტეხნიკური მუშაობა, ამისათვის ბიბლიოთეკარი არასოდეს არ სარგებლობდა სათანადო წონით და მდგომარეობით. (რომ არ ვსთქვათ: ავტორიტეტით) ნამდვილათ კი საბიბლიოთეკო საქმე მოითხოვს მეტის-მეტ მომზადებულ მომუშავეს, რომელსაც შეუძლია ასე თუ ისე ამ მხრივ ნდობა დაიმსახუროს მასაში.

ბიბლიოთეკარის მთავარი მოვალეობა არის კითხვის ხელმძღვანელობა, მკითხველისათვის წიგნების შერჩევა და მათი რეკომენდაცია.

რეკომენდაცია არა მხოლოდ წითელ არმიელთა მასისათვის, არამედ პოლიტ და მეთაურთა შემადგენლობისათვისაც.

ამისათვის კი საჭიროა, რომ ბიბლიოთეკარი კარგათ იყოს გაცნობილი როგორც წიგნისა, აგრეთვე მკითხველ მასასთანაც.

მეორე მხრივ საჭიროა, აგრეთვე რომ მკითხველი მასაც იცნობდეს საბიბლიოთეკო მუშაობას, ის დაახლოვებული უნდა იყვეს მასთან.

გარდა ამისა დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ბიბლიოთეკების, თუ შეიძლება ასე ითქვას, მომარაგებას.

ბიბლიოთეკის მომარაგებაში ჩვენ ვგულისხმობთ არა მხოლოდ წიგნების შეძენას (რაც მთავარია) არამედ აგრეთვე სხვა და სხვა აუცილებელ საჭირო ნივთებით უზრუნველყოფას.

მხოლოდ ამ პირობების შექმნით და მუშაობის ამ მხრივ განვითარებით, შეიძლება სავსებით განვახორციელოთ ლენინის ლოზუნგი „წიგნი მასას". და სწორედ ამ მიზანს ისახავს დღეს მიმდინარე ხანგრძლივი კამპანია „ყველა წიგნისა და ბიბლიოთეკისაკენ".

კამპანიის მიზანია დაკვრითი წესით, საერთო მასიურ ძალებით შეავსოს ყველა ის ნაკლი, რომლებიც აქვს დღეს ჩვენს ბიბლიოთეკებს.

მოკლედ მის ამოცანას შეადგენს: ასწიოს ბიბლიოთეკარების კვალიფიკაცია (მომზადება), ასწიოს წითელ არმიელების თვალში, ბიბლიოთეკისა და ბიბლიოთეკარის ავტორიტეტი; დაუახლოოს მასა ბიბლიოთეკას; გააღრმაოს ბიბლიოთეკების აქტიური მუშაობა; მკვიდრ ნიადაგზე დააყენოს ტეხნიკა და სხვა.

ამ მიზნების შესასრულებლათ კამპანია, თანახმად პოლიტგანყოფილების ინსტრუქციისა, იყოფა ორ პერიოდათ.

ნ—ძე.




## ...-3-მე ლეგიონის დეპუტატების არ...ევნები ქალაქის მუშათა, გლეხთა, და წითელ-არმიელთა საბჭოში.

...ნთებერვალს შესდგა 3-მე ...რ. მსროლელ ლეგიონის მე...ურ-პოლიტ და წით. არ...ელების გაერთიანებული კრე... დღის წესრიგში იდგა შემ...გი საკითხები: წ. არმ. რო...ი და უფლებები საბჭოთა ...ჩევნებში, ქუთაისის ქალაქის ...შაობის ანგარიში და ქუთაი...ს ქალაქის საბჭოში გასაგ...ვნ დელეგატების არჩევნე...

1-ლი საკითხი გაგვაცნო ...გიონის სამხკომმა ამხ. თა...რთქილაძემ. 2-ე საკითხის ...გვლივ კი მოხსენებით გა...ვიდა ქუთ. აღმასკომის წარ...მადგენელმა ამხ. გურული...ლმა. მან დაწვრილებით გა...ნო კრებას ქალაქის საბჭოს ...შაობა, რის შემდეგ გამო...ნილი იქნა შემდეგი რეზო...უცია, რომლითაც სრუ...იად დამაკმაყოფილებლად იქ... ცნობილი საბჭოს მუშაო...

მოხსენების შემდეგ ქალაქის ...ბჭოში გასაგზავნად არჩეული ...ქნა შემდეგი ამხანაგები:

1. მე-2-ე დივიზიის სამხკომი ამხ. მარკაროვი 2. ლეგთავი ამხ. კუპრაშვილი 3. ლეგ. სამხკომი ამხ. თავართქილაძე 4. ლეგ. პას. ორგ. ამხ. შავლიძე 5. წით. არმ. ამხ. ლაბაძე 6. კლუბის უფ. ამხ. გეგია 7. წით. არმ. ამხ. ცაგვიანცი 8. ლეგ. სკ. უფ. ამხ. კანაჩაძე 9. წ. არმ. ამხ. შიოლაშვილი 10. პოლ. ხელ. ამხ. ბოკუჩავა 11. წ. არმ. პაპიაშვილი 12. ასის. მეთ. ამხ. გაბუნია 13. პოლიტხელი ამხ. კობზონიძე. კანდიდატებათ კი 1. წ. არმიელი აბაზოვი 2. წ. არმიელი ამხ. გოგოლაშვილი 3. მეთ. ამხ. ჩიხლაძე.

ამ რიგად პარტიულობის მიხედვით არჩეულია უპარტიო 6. მეთაური 4. კომუნისტი 7. პოლიტმუშაკი 6. წით. არმიელი კანდიდატებიდან 6. უპარტიო 3.

არჩევნების შემდეგ კრება დაიხურა ინტერნაციონალით.

პასუხმგებელ სამხკორი

**ბოკუჩავა.**

---

**...იკითხე წიგნი ყურადღებით, დაფიქრებით და ნელა. ბიბლიოთეკა კომუნიზმის ბრძოლაა.**

---

## ...ლიტერატურული გასამართლებები ჩვენს ნაწილებში.

### ...საოჯახო დახმარებისათვის მიცემულ ფულების გამფლანგველი.

...7 თებერვალს ქართულ მეთა...რთა სკოლის მე-3 ასეულის ახ...მკავშირის უჯრედმა მოაწყო ...ჯრედის წევრის გასამართლე..., რომელსაც ბრალდებოდა ...ოჯახო დახმარებისათვის მი...ემულ ფულის უთავბოლოდ ...ფლანგვა.

...მიუხედავად იმისა, რომ გა...სამართლებისათვის თითქმის ...მზადებელი იყვენ ამხანა..., ის მაინც საკმაო შინა...სიანად იქნა ჩატარებული.

...ბრალმდებელი საკმაოდ საფუძ...ლიანად შეეხო საკითხს, დამ...ცველები კი უფრო სუსტი აღ...მოჩნდნენ, რაც მათ მოუმზადე...ბლობას უნდა მიეწეროს.

...ამათში თითქმის ყველა მა...ყურებელმა მიიღო მონაწილე...ობა.

ბრალდებულს სასამართლომ მიუსაჯა კავშირის რიგებიდან გაძევება.

განაჩენს თანაგრძნობით შეხვდა დამსწრე საზოგადოება.

სკოლის ახკომკავშირის ბიურო კოლექტივმა მიზნად დაისახა ყურადღება მიაქციოს კავშირის წევრების აღმზრდელობითი საქმეს.

ამ მიზნით ის აწყობს სხვა და სხვა გასამართლებებს, რაც ყოველთვის დიდ თანაგრძნობას იწვევს კავშირის წევრებსა და უპარტიოთა ფართო მასაში.

კოლექტივს განზრახვა აქვს მომავალშიდაც მოაწყოს ასეთი ხასიათის გასამართლებები და და ამის გამო ამ თავითვე შეუდგა სათანადო სამზადისს.

ახკორი **ნამი.**

### ...გასამართლება ხელმეორედ დეზერტირობისათვის.

...ამ რამოდენიმე დღის წინად ...არტილერიო ლეგიონში მო...წყო ხელმეორედ დეზერტი...რობისათვის — ლიტერატურუ...ლი გასამართლება.

...სასამართლოს თავმჯდომა...რემ წაიკითხა საბრალმდებლო ...სქმი, რომლიდანაც გამოირკვა, ...რომ ორი წითელ არმიელი ...თალია საოჯახო საჭიროე...ბისათვის, მაგრამ მაინც თავი ...სურვილით გაპარულან ნა...წილიდან თავის სოფელში.

...ერთი კვირის შემდეგ ორივე ...დაბრუნებულა თავისი ნებით.

...სასამართლომ დამტკიცებულად სცნო ბრალდება და მხარეთა კამათის შემდეგ გამოტანილი იქნა შემდეგი განაჩენი:

„ორივე წითელ არმიელებს მიესაჯოს ორ-ორი თვით გამასწორებელ სახლში მოთავსება და 300 მანეთის ქონების ჩამორთმევა, მაგრამ მიღებულ იქნა რა მათი ოჯახური მდგომარეობა—სასჯელი შეუმცირდათ 5 მანეთის ქონების ჩამორთმევით.

გასამართლებამ დიდი შთაბეჭდილება დასტოვა დამსწრე წითელ არმიელებზე.

**მიხო საწირელი.**

## მესამე ლეგიონის საქმიანობიდან.

### კავშირის საქმე ლეგიონში.

ლეგიონში თავიდანვე იქნა არჩეული საკავშირო კომისია, რომელიც ენერგიულად შეუდგა თავისი მოვალეობის ასრულებას.

ყველა ადგილობრივ ორგანიზაციებთან აღდგენილია კავშირი. ასეთივე მდგომარეობაა სხვა სამხედრო ნაწილებთანაც. ამ ახლო ხანში ჩვენი ლეგიონი რუსულ ნაწილთან ერთად აპირებს აილოს შეფობა წყალტუბოს თემზე. ჩქარა გავაჩაღებთ კულტურულ მუშაობას სოფლის გლეხობას შორის.

### დისციპლინა.

დისციპლინა ლეგიონში ზედმიწევნით არის დაცული. ხ...რად იმართება ბაასი ამის გარშემო, რომლებზედაც ლეგიონის თავი და სამხედრო კომისარი სათანადო დარიგებას აძლევენ წითელ-არმიელებს. ჯერ ჯერობით დისციპლინის დარღვევის შემთხვევას ადგილი არ ჰქონია ლეგიონში.

### წითელ-არმიელებსა და მეთაურებს შორის დამოკიდებულება.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ლეგიონში წითელ-არმიელებსა და მეთაურებს შორის დამოკიდებულება, რომელიც არ სცილდება ამხანაგურ ფარგლებს.

ასეთივე მეგობრული დამოკიდებულებაა ლეგიონის ძველსა და წითელ მეთაურებს შორის.

არც ერთხელ მათ შორის ადგილი არ ჰქონია უთანხმოებას.

პარტკორი ა. **ჭკადუა.**

---

## მოსპეთ ნაკლულევანებანი.

### ხორცი წეს...რად უნდა განაწილდეს.

პირველ საარტილერიო ლეგიონის ბატარეიაში ერთ უწესრიგობას აქვს ადგილი, რომელიც ლეგიონის მეკუჭნავის უყურადღებობას უნდა მიეწეროს.

ლეგიონში მოსული ხორცი თანასწორად უნდა ნაწილდებოდეს მის ყველა ბატარეიებს შორის, რაც სინამდვილეში არ ხდება.

საგაუბიცო ბატარეია ყველაზე უფრო იჩაგრება ამ მხრივ; მას ყოველთვის ცუდი ხარისხის ხორცი უწევს.

რად არ ანაწილებს მეკუჭნავე ხორცს თანასწორად? მისი მტკიცება, რომ სხვა ნაწილები იტაცებენ კარგ ხორცსო, არ არის საპატიო მიზეზი.

საჭიროა სამნეო საკანტროლო კომისიაც გამოიღვიძებდეს და ყურადღებას მიაქცევდეს ამ უწესრიგობას.

ხორცი თანასწორად (კარგიც და ნაკლები ხარისხის ნაჭრებიც) უნდა იქნეს განაწილებული ბატარეიებს შორის.

წ. არმ. გრ. ბარათაშვილი.

---

**წითელო არმიელო! ბიბლიოთეკა შენი საუკეთესო მეგობარია.**

---

## მოგონებათა საღამო.

8 თებერვალს პირველ დივიზიის ლაზარეთში ამხ. პეტრიაშვილის ხელმძღვანელობით მუშებმა გამართეს მოგონებათა საღამო. დადგმული იქნა ორ მოქმედებიანი პიესა „რევოლიუციის მოლოდინში“.

პირველად არ მოუწყვიათ აღნიშნულ მუშებს ჩვენთან ასეთი შინაარსიანი საღამო. ისინი ხშირად მოდიან ლაზარეთში და ართობენ ავადმყოფ წითელ არმიელებს.

ამ საღამომაც ძლიერ ასიამოვნა ჩვენი ავადმყოფები. წარმოდგენის შემდეგ ამხ. მუშებმა გამართეს ცეკვა თამაში და სხვა.

საღამომ მეტად შინაარსიანად ჩაიარა. ასეთი პატივსცე მისათვის დიდ მადლობას უძღვნით ამხანაგებს. იმედია არც შემდეგში დაგვივიწყებენ და ხშირად დაგვატკბობენ თავისი მოხდენილი თამაშით.

გაუმარჯოს მუშებსა და წითელ არმიელთა შორის ძმური კავშირს.

წ. არმიელი **კოდუა.**

---

## ქართ. დივიზიების საკავშირო კურსები.

### დაგვინიშნეთ პოლიტ-ლექტორი.

1924 წ. 17 ნოემბერს 1-ლ ქ. მ. დ. ცალკე საკავშირო ასეულთან გაიხსნა საკავშირო კურსები. კურსებზე მოვლენილნი არიან მსმენელებად ოცდა ორი მეთაურები ორივე ქართული დივიზიიდან.

კურსებზე მსმენელები სწავლობენ: ელექტრო-ტეხნიკას, რადიოს, ტელეგრაფს, ტელეფონს, შთანგობას და კავშირის ტაქტიკას. ყველა ზემოთ ჩამოთვლილ საგნებს სათანადოთ მომზადებული ლექტორები ასწავლიან.

აღსანიშნავია ერთი უმთავრესი ნაკლულევანება, რომელსაც ჩვენს კურსებზე აქვს ადგილი: პოლიტიკურად განვითარებას არავითარი ყურადღება არ ექცევა და არც არავინ ფიქრობს მასზე, რაც დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს.

წითელი მეთაური ისეთივე მომზადებული უნდა იყოს პოლიტიკურად, როგორც სამხედრო სპეციალურ საქმეში.

მხოლოდ ასეთ მეთაურს შეუძლია შეიტანოს ჯარში კულტურული ცოდნაც.

მიუხედავად იმისა, რომ კურსებზე მოვლენილ ყველა მეთაურებს ახლად დამთავრებული აქვთ სამხედრო ნორმალური სკოლა, მათ პოლიტიკურად გაწვრთნას მაინც ყურადღება უნდა მიექცეს.

საჭიროა კურსებზე დანიშნულ იქნეს ერთი პოლიტ-ლექტორიც.

სტ. ახალაშვილი.

## პარტიული ცხოვრება.

### „ევკოგრუზის“ კომუჯრედის ცხოვრებიდან.

უკვე ერთი წელი შესრულდა მას შემდეგ რაც „ევკოგრუზში“ დაარსებული იქნა კომუჯრედი. პირველ ხანებში კომუჯრედი აერთიანებდა 7 პარტიის წევრს, ხოლო ამ ჟამად უჯრედში იმყოფება 9 პარტიის წევრი და 5 კანდიდატი.

კომუჯრედის გაფართოებასთან ერთად, გაიზარდა მისი მუშაობაც. უჯრედის ერთ ნაკლად სხვათა შორის ისიც ითვლებოდა, რომ ის არავითარ მუშაობას არ აწარმოებდა ქალთა შორის. ეხლა კი ყოველგვარი ზომებია მიღებული ამის გამოსასწორებლად.

კომუჯრედმა თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა, რათა ქალთა შორის მუშაობას მიექცეს სერიოზული ყურადღება,

ამ მიზნით ქალაქის 4-ხე რაიკომის ქალთა განყოფილებიდან გამოთხოვილი იქნა ინსტრუქტორი, რომელიც 13 თებერვალს გააკეთებს მოხსენებას ქალთა შორის მომავალი მუშაობის შესახებ.

ამავე დროს ბიუროს დაევალა ინსტრუქტორებთან ერთად გამოიმუშაოს ამ მუშაობის გეგმა.

კვირაში ერთხელ იმართება კომუჯრედის კრება, რომელზედაც ირჩევა ყველა საჭირბოროტო საკითხები. თვეში ორჯერ კი იმართება კომუჯრედის ღია კრებები, ესწრებიან უპარტიო მუშა მოსამსახურენი და ჩვენთან ერთად ღებულობენ მონაწილეობას ყოველგვარ საკითხების გარჩევაში,

კომუჯრედის თაოსნობით ხე-ტყის ქარხანაში მოეწყო პარტიული წრე, რომელზედაც მიმაგრებულია ერთი პარტ. ამხანაგი და ხელმძღვანელობას უწევს წრეში მეცადინეობას.

ზემოაღნიშნულ საქმიანობის გარდა, უჯრედმა დიდი ყურადღება მიაქცია მუშა-მოსამსახურეთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის სპეციალურად გამოყოფილია ერთი ამხანაგი წერა-კითხვის უცოდინართა შორის მეცადინეობის საწარმოებლად.

ამნაირად კომუჯრედის საქმიანობა თანდათან მატულობს და კარგი იქნება მისი ხელმძღვანელები ასეთივე ენერგიით განაგრძობდენ მუშაობას.

**ელიზბარ.**

## მერვე ასეულის კომუჯრედი.

პირველი ლეგიონის მერვე ასეულში 8 თებერვალს შესდგა კომუჯრედის მორიგი ღია კრება, რომელსაც დაესწრო ასეულის მთელი შემადგენლობა.

დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი საკითხები:

ქალაქის საბჭოს არჩევნებისა და ქიმიის მოყვარულთა საზოგადოების მნიშვნელობა.

საბჭოს მორიგი არჩევნების შესახებ მოხსენება გააკეთა პოლიტ-ხელ ჩარკვიანმა. ამხანაგმა დაწვრილებით გააცნო არმიელებს თუ რას წარმოადგენს ქალაქის საბჭო, როგორი ხასიათის მუშაობას აწარმოებს და ვინ უნდა იქნეს არჩეული საბჭოს დეპუტატებათ. მომხსენებელმა მოუწოდა ამხანაგებს ყურადღებით მოეკიდონ მომავალ არჩევნებს და თავის წარმომადგენლებათ გაგზავნონ იქ კეთილ სინდისიერი პირები.

ქიმიის მოყვარულთა საზოგადოების მნიშვნელობის შესახებ მოკლე განმარტებით გამოვიდა ამხ. გეგელია. მან საკმაო სიცხადით გაუშუქა ამხანაგებს თუ რა სარგებლობის მოტანა შეუძლია საზოგადოებას, როგორც ომიანობის დროს მტრების წინაამდეგ, ისე მშვიდობიანობის დროს სოფლის მეურნეობაში.—ქიმია საუკეთესო საშუალებაა ჭირნახულის გამანადგურებელ მინდვრის თაგვების, კალიეებისდა სხვათა წინაამდეგო.

ბოლოს მან მოუწოდა ამხანაგებს ყველა ჩაწერილიყო ქიმიის მოყვარულთა საზოგადოებაში.

კრებამ აირჩია განსაკუთრებული პირი, რომელსაც მიენდო მოაწყოს არმიელების ჩაწერის საქმე აღნიშნულ საზოგადოებაში.

პარტკორი **ლეჟავა.**

# ამბები სოფლებიდან

**ძმური დახმარება მილიციას.**

სახხერის გლეხკომს შეუძენია ადგილობრივი მილიციისათვის 11 ხელი ტანისამოსი მათი თავდადებული და ერთგული მუშაობისათვის.

**მესაქონლეობა რაჭაში.**

რაჭის გლეხკომმა გადაწყვიტა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს რაჭის მესაქონლეობის განვითარებას, განსაკუთრებით მეღორეობას

**ხიდი ამბროლაურში.**

თოვლის და ცუდი ამინდების გამო სოფ. ამბროლაურში (ქვემო რაჭა) მდ. რიონზე ხიდის კეთება ზაფხულამდე არ დაიწყება.

**სოფლის სახელწოდების შეცვლა.**

გლეხების თხოვნით და შინ. საქმეთა კომისარიატის შუამდგომლობით საქ. ცაკმა დაადგინა შეეცვალოს სახელი სოფელ ახალქალაქს (გორის მაზრა) სოფელ წითელ ქალაქათ.

**დახმარება ღარიბებს მცხოვრებთ.**

1924 წლის განმავლობაში სახხერის გლეხკომმა დახმარებათ გაუწია ქვრივ—ობლებისა წითელ-არმიელთა ოჯახებს და ღარიბეს გლეხებისათვის 320 მანეთი.

**საქონლის ჭირი კახეთში.**

თელავის მაზრაში სოფ. კისისხევსა და კურდღელაურში თავი იჩინა საქონლის ჭირმა ჭირის წინააღმდეგ უკვე მიღებულია სათანადო ზომები.

# შინაურ საქონლისა და კაცის გადამდები ავადმყოფობანი.

## ქოთაო.

ქოთაო ერთი [უსაშინლესი და გადამდები ავადმყოფობათაგანია, რომელიც ცნობილი იყო რამოდენიმე საუკუნის წინეთ ქრისტეს დაბადებამდისაც. მასზედ ხშირად აჩვენებენ თავის ნაწერებში, როგორც ძველი საბერძნეთის (არისტოტელი და გიპოკრატი), ისე რომის მწერლები (ასპირტიუსი და ვეგეტიუსი).

ყველა საუკუნოებში და ყველგან დიდ ზარალს იძლეოდა ქოთაო როგორც ცხენების, ისე ადამიანების დაღუპვის სახით. არა ერთ და ორ მეცნიერს შეუწირავს თავი ამ ავადმყოფობის შესწავლა—გამოკვლევისათვის, მაგრამ მიზანს მაინც ვერ მიუღწევია. ბევრი მეცნიერი იმასაც კი ამტკიცებდა, რომ ქოთაო ცხენის სიფილისი, ჭლექი და სხვა ასეთები არისო, მაგრამ უკანასკნელმა გამოკვლევებმა ეს მოსაზრებანი არ გაამართლა.

მეცხრამეტე საუკუნის შუა რიცხვებში მეცნიერებმა ვირხოვმა და ლეიზერინგმა პირველებმა მიაღწიეს ქოთაოს ანატომიური სურათის სრულ შესწავლას, ხოლო 1882 წელში მეცნიერმა ლოფლერმა პირველმა დაიდგა დიდების გვირგვინი ამ სენის ბაცილის აღმოჩენით და მით ერთხელ და სამუდამოდ დაამტკიცა ის ჭეშმარიტება, რომ ქოთაოს გამომწვევი მიზეზი საკუთარი ბაცილია და არავითარი საერთო ამ ბაცილს არც სიფილისთან, არც ტუბერკულიოზთან და არც სხვა გადამდებ სნეულებებთან არა აქვს.

ქოთაო ემართება მხოლოდ ერთფლოქვიან ცხოველებს და ადამიანს. დედამიწის ზურგზედ არ არის ისეთი ქვეყანა, სადაც ქოთაო არ არსებობდეს. არც ერთი ავადმყოფობა ისეთი საშინელი არ არის, როგორც ქოთაო. ქოთაოთი ავადმყოფის მორჩენა, ცხოველი იქნება იგი თუ ადამიანი, ყოვლად შეუძლებელია—საშინელი ტანჯვით სიკვდილი მისთვის აუცილებელია.

ქოთაო ხასიათდება სხვა და სხვა გარეგნული ნიშნებით: ზოგიერთ შემთხვევაში იგი სწრაფ განვითარებას იძლევა, ზოგიერთში-კი თვეობით და წლობითაც დაფარულად ვითარდება ცხოველის ტანში და არავითარი დამახასიათებელი ნიშნებს იგი არ იძლევა.

ვეტექიმი ფარეიშვილი.

# სამნეო დარგის საკითხები

## ტერიტორიალურ ჯარის ნაწილების სამნეო დარგი.

ყველა დასაბამითი დებულებები წითელი ლაშქრის ძირითადი ნაწილების კმაყოფაზე ძალაში რჩებიან ტერიტორიალურ ნაწილების მიმართაც. მაგრამ, რუსეთში, წარსული წლის გამოცდილებამ, ტერნაწილებში ცვალებად შემადგენლობის სასწავლო ყრილობის დროს, ძირითად წესთან ერთად წამოაყენა მოჭარაგების ზოგიერთ დარგში, რამოდენიმე განსხვავებანიც სპეციალურ ნორმებში, რაც აღნიშნულია ს. ს. კ. რ.—რ. ს. ს. მთელ რიგ ბრძანებებში, ამიტომ ტერნაწილების სამნეო მუშაკებმა სამნეო დარგის ძირითად დებულებების შესწავლის გარდა, უნდა შეითვისონ კიდევ სპეციალური დამატებებიც, რომელიც ეკუთვნის მათ სპეციალურ მუშაობას აღნიშნულ დარგში.

როგორც საერთო წესი ტერნაწილებში ყველა ქონება უნდა ინახებოდეს ომიანობის დროის შტატის მიხედვით დაწესებული ნორმებით და ტაბელებით, მაგრამ ამ ჟამად, უქონლობის გამო, დაშვებულია ცოტაოდენი გარდახრა ამ წესიდან ნივთები იძლევა შემოკლებული ნორმებით, მაგრამ იმ ანგარიშით კი, რომ მიცემული ნივთები ხელს არ უშლიდენ და უზრუნველ ჰყოფდნენ სამოსწავლო ყრილობის ჩატარებას.

განსაკუთრებითი მომზადება უნდა ჰქონდეს სამნეო მუშაკს საჭმლის კმაყოფის მოსაწესრიგებლად სასწავლო ყრილობების მომენტისთვის, რისთვისაც ის უნდა მოემზადოს წინასწარ.

ტერნაწილების სამნეო მუშაკების სამსახურის მთავარი განსხვავებანი გამოიხატება შემდეგში:

1. ერთსა და იმავე დროს შტატით ძალიან განსაზღვრული ძირითადი სამნეო მუშაკთა რიცხვის და სხვა და სხვა გვარ დიდძალ ქონების არსებობა.

2. სასწავლო ყრილობის დროს ცვალებადი შემადგენლობათათვის ერთდროულად ქონების ხშირი ინდივიდუალური გაცემები.

3. სასწავლო ყრილობის გათავების შემდეგ ქონების შეკრება და მისი სათანადო მოწესრიგება (გასუფთავება, გარეცხვა, გაშრობა, დაკერება).

4. ტერნაწილების დაქსასვა, ადგილობრივი პირობების მიხედვით, რაც საგრძნობლად ართულებს ყველა ოპერაციებს და აგრეთვე ქონების თვალყურის დევნას და მის აღრიცხვას.

და 5. ზოგიერთ გვარ კმაყოფის განსაკუთრებითი ნორმები და ტაბელები.

აღნიშნული სამსახურეობრივი განსხვავებანი მოითხოვენ ტერნაწილების სამნეო დარგის თანამდებობებზე იმ პიროვნებების შერჩევას, რომლებსაც უყვართ თავიანთი საქმე, დახელოვნებულები არიან ჯარის სამნეო დარგის მუშაობაში და ადვილად ერკვევიან ყოველგვარ გარემოებაში

მე ამით სრულებით არ მინდა ვსთქვა, რომ ჩვენს ტერიტორიალურ დივიზიას სრულებით არა ჰყავს თავის საქმის მცოდნე სამნეო მუშაკები. უეჭველია არიან ღონიერი მომუშავეებიც, განსაკუთრებით სახელმძღვანელო ადგილებზე, მაგრამ მათ გვერდით არიან კიდევ სუსტნი, რომლებიც უნდა განუსწორდნენ ცოდნაში პირველებს. საჭირო დახმარებას ამაში აღმოუჩენს ყველას ახალი წიგნი: „ტერნაწილების სამნეო მუშაკების გამახსენებელი“ 1924 წ. გამოცემა, რაზედაც მოგვითხრობენ, როგორც ძვირფასს სახელმძღვანელოზე.

ს. შაკუნი.

# უცხოეთის ავიაციასა და ფლოტში.

**პარაშიუტით თავის გადარჩენა.**

საფრანგეთის ერთ-ერთ მფრინავს, ახალი აპარატით გაფრენის დროს მოუვიდა მარცხი. აპარატი გაფუჭდა ჰაერში და პირდაპირ ცხვირით დაეშვ ძირს. მფრინავმა 400 მეტრის სიმაღლეზე შეამჩნია ეს უბედურება, ის სრულიად არ დაბნეულა, მოხსნა პარაშიუტი და გადაეშვა ჰაეროპლანიდან. იმ დროს როდესაც ჰაეროპლანი სრულიად დაიმსხვრა, მფრინავი გულდამშვიდებით დაეშვა დედამიწაზე.

**7.658 მილი 76 საათში.**

ავსტრალიის სამოქალაქო ავიაციის დეპარტამენტს სურდა დაწვრილებით გაეგო, თუ როგორი პირობები არსებობდა ავსტრალიის ჩრდილოეთის ნაწილში, სადაც განზრახულია მოეწყოს საჰაერო რეისების მთელი რიგი. დეპარტამენტმა მიავლინა მფრინავი დასახელებულ ადგილების შესწავლად, რომელმაც 76 საათის განმავლობაში გააკეთა 7.658 მილი. ექსპედიციას დასჭირდა ამ მიზნით სულ 22 დღე. ჩვეულებრივი გამოკვლევის დროს კი საჭირო იქნებოდა სრული ხუთი თვე.

**სიჩქარის ახალი რეკორდი.**

ერთ ერთ ფრანგ მფრინავმა აიღო სიჩქარის ახალი რეკორდი. საერთოდ მან დაჭერა 1.000 კილომეტრი და საათში საშუალოდ გამოჩინა 221 კილომეტრისა და 766 მეტრის სიჩქარე.

**უდიდესი წყალქვეშა კრეისერი.**

გერმანიის წყალქვეშა ნავების გამოჩენილმა კონსტრუქტორმა—პროფესორ ოსვალდ ფლამმა, ამ ჟამად დაასრულა უდიდესი წყალქვეშა კრეისერის პროექტი.

კრეისერის წყალტევა-წყლის ზედაპირზე უდრის 7.067 ტონს; სიგრძე 403 ფუტს, სიგანე 49 ფუტს. კრეისერის გამოჩენილი ნაწილი (წყლის ზედაპირის ზევით.) დაფარული იქნება 5 დიუმის სისქის ჯავშნით, რაც გაადიდებს მის წონას 614 ტონით.

კრეისერი შეიარაღებული იქნება 2—ორმოცდა ათი კალიბრის და 8,2 დიუმიანი ზარბაზნებით. ზარბაზნები მოთავსებული იქნებიან მბრუნავ კოშზე. ყუმბარის სიმძიმე უდრის 275 გირვანქას. ამათ გარდა კრეისერზე მოთავსებული იქნება 4-ხი 60 კალიბრის 3,4 დიუმიანი ზარბაზნები. კრეისერი შეიარაღებული იქნება აგრეთვე 10 სანაღმო აპარატებით. კრეისერის მამოძრავებელი დიზელების ძალა უდრის 30 ათას ცხენის ძალას.

წყლის ზედაპირზე ცურვით კრეისერი გადის საათში 22 23 საზღვაო კვანძს.

წყალქვეშა ცურვის მომენტში კი ის იყენებს აგრეთვე 5.000 ცხენის ძალის ელექტრო მოტორებს. კრეისერზე თავსდება 100 კაცი. მისი ცურვის რაიონი 43.000 კილომეტრს უდრის.

წყალში ჩაძირვას კრეისერი ანდომებს მხოლოდ ერთ წუთს.

ამავე პროფესორმა დაასრულა აგრეთვე წყალქვეშა გზის გამკვლელის პროექტი, 1000 ცალი ნაღმის მარაგით.

**შხამიან აირების საწინააღმდეგო ავტომატიური აპარატი.**

ამერიკაში გამოსცადეს შხამიან გაზების საწინააღმდეგო ახალი ავტომატიური აპარატი. შხამიანი გაზების ტალღის მოახლოვების გამო ეს აპარატი, რომელშიდაც მოთავსებულია შეკუმშული ჰაერი, იმსხვრევა და წარმოშობს ქარებს, რომლებიც ჰფანტავენ მოახლოებულ გაზების ღრუბლებს.

**უკვამლო ნახშირი.**

ინგლისში დიდი მუშაობა სწარმოებს ქვანახშირის უკვამლო სათბობ მასალად გადამუშავების მიმართულებით. 100 ტონი ჩვეულებრივი ნახშირისაგან გადამუშავების შემდეგ მიიღება 55 ტონი უკვამლო სათბობი მასალა. სათბობი მასალის ეს ახალი სახე გამოყენებული იქნება სამხედრო ფლოტისთვის, რადგანაც თავისი უკვამლობის გამო საშუალებას იძლევს გემებს დიდ ხანს დარჩეს სრულიად შეუმჩნეველი მოწინააღმდეგისაგან.

# ახალი ამბები.

— **მუშაობის გეგმა.** პოლიტგანყოფილებამ შეიმუშავა და ახლო ხანში ნაწილებს დაეგზავნებათ სკოლის გარეშე მუშაობის გეგმა თებერვლის განმავლობაში.

— **საბჭოთა ყრილობა.** საქ. ცაკმა დაადგინა გადასდოს საქართველოს საბჭოთა მესამე ყრილობა შემდეგისათვის, რადგანაც დანიშნულ ვადისათვის შეუძლებელ იქნა არჩევნების ყველგან ჩატარება.

— **უმუშევრობა ახკომკავშირელთა შორის.** საქ. მუშათა და გლეხთა ინსპექციამ დაავალა ოპერატიულ განყოფილებას გამოიმუშაოს ზომები ახკომკავშირელთა შორის უმუშევრობის მოსასპობათ.

— **ცხენოსნობის სკოლა.** ცხენთა საჯიშოების განყოფილება ახლო ხანში ტფილისში ხსნის ცხენოსნობის შესასწავლ სკოლას.

— **საბუხჰალტერო კურსები.** საქ. მუშათა და გლეხთა ინსპექციისა და ა. კ. ფინანსთა კომისარიატის თანამშრომელთათვის ტფილისში ახლო ხანში გაიხსნება საბუხჰალტერო კურსები.

— **შრომის მუზეუმი.** საქართველოს შრომის მუზეუმი გაიხსნება თებერვლის დამლევს.

— **ახალი წიგნი.** ახლო ხანში ჯანსახკომი გამოსცემს ქართულ—რუსულ ენაზე სახელმძღვანელოს გვამების გაჭრის შესახებ.

— **მეცხვარეობისათვის.** საქართველოს ცაკმა საჭიროთ სცნო გაუწიოს დახმარება მეცხვარეთა კოოპერატიულ ამხანაგობა „მწყემს“ 150 ათასი მანეთის რაოდენობით.

# ხელოვნება.

— **კინო წითელ არმიელთათვის.** კვირას 15 თებერვალს, დილას კინო „პალასში“ გაიმართება სეანსი წითელ არმიელთათვის.

# ჩვენი ფოსტა

**ამხ. ამხ.** ალ. ბერიძეს, ა. რამიშვილს, ს. იმნაიშვილს, ლ. მაჭავარიანს, ა. იოსავას, დ. ლომაძეს, დ. ზეფრაშვილს, ჭ. ასათიანს, ირ, მაისაიას, ლ. ჭელიძეს, ფარსიმაშვილს და გაბუნიას ვთხოვთ შემოიარონ რედაქციაში დეკემბრისთვის ჰონორარის მისაღებათ.

**დივლაზარეთის ამხ. წითელ არმიელებს.** თქვენი წერილი „წით. არმიაში ასეთებს ადგილი არ უნდა ექნეს“ გადაეცა სათანადო დისტანციას.

**ამხ. განის.** კორესპონდენცია „ასეთი ვაჟბატონი სახელს უტეხს წითელ არმიას“ არ დაიბეჭდება.

პასუხის-მგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე

# განცხადებები.

ხუთშაბათს, 12 თებერვალს საღამოს 6 საათზე დივიზიის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში შესდგება სემინარების ბიბლიოთეკის მორიგი მეცადინეობა.

მოსმენილი იქნება:

1. ქავთარაძე — კატალოგის შედგენის წესი.

2. შავგულიძე — კატალოგის ფორმები და სახეები.

სავალდებულოა დასწრება ყველა ბიბლიოთეკარების.

ბიბ. სექ. ხელმძღვანელი. ე. მურადოვი.

პარასკევს, 13 თებერვალს დილის 11 საათზე, ცენტრალურ წითელ-არმიელთა კლუბში შესდგება მორიგი მეცადინეობა სემინარების. გაკეთებული იქნება მოხსენებები:

1. ხაციშვილი — კლუბის წრე როგორც აღმზრდელობითი ვი ურჯედი კლუბისა

2. სიხარულიძე — აქტიური შრომის მეთოდი საწრეო მუშაობაში.

სავალდებულოა დასწრება კლუბის უფროსების და ყველა წრეების ხელმძღვანელების.

ხელმძღვანელი ტ. წვენიევი.

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3. ტირაჟი 1000.